განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კულტურის კვლევების
(თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი:
18.07.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:
29.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) Cultural Studies (Modern Visual Culture and Media Communications)
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კულტურის კვლევების დოქტორი PhD in Cultural Studies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები Sociology and Cultural Studies
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50 კრედიტი - სასწავლო კომპონენტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩიქოვანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გავაშელიშვილი, სსიპ -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია, შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამა ეფუძნება უსდ-ში არსებულ სწავლებისა და კვლევის ტრადიციას და გამოცდილებას, ამავე დროს, ითვალისწინებს კულტურის კვლევათა სფეროში ახალი ტენდენციებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. ეს არის ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ვიზუალური კულტურისა და მედიაკომუნიკაციების სხვადასხვა ასპექტის კვლევას კულტურის მეცნიერებათა ფართო ინტერდისციპლინურ კონტექსტში და ამ სფეროში კვალიფიციური მკვლევრებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მომავალი კადრების აღზრდას. პროგრამა შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს სადოქტორო საფეხურისადმი და ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე საჭიროებებზე. იგი მოიცავს 50 კრედიტს (სავალდებულო კომპონენტების 45 და არჩევითი კომპონენტების 5 კრედიტი). მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შედგა 2022 წლის 18 ივლისს. აკრედიტაციის ჯგუფში შედიოდნენ: თავმჯდომარე - ნინო ჩიქოვანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), წევრები - თინათინ გაბრიჩიძე (ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი), ელენე გავაშელიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ჯოვანა აბლოთია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი).

ვიზიტი დაიწყო უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსთან შეხვედრით. რექტორმა ისაუბრა თსსა მიზნებზე, დღეისათვის არსებულ მიღწევებზე, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე. აღნიშნა კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობა სამხატვრო აკადემიისთვის, მისი შესაბამისობა უნივერსიტეტის მიზნებთან, პროგრამის სწავლის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა

როგორც მეცნიერულ, ასევე პრაქტიკულ სფეროში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ბოლო წლებში. კანცლერმა აკრედიტაციის ჯგუფის წევრებს გააცნო თსსა ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, აგრეთვე ამ უკანასკნელი მიმართულებით ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებები. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა ხაზი გაუსვა ამ სამსახურის საქმიანობას სტუდენტთა და პროფესურის ხელშეწყობის მიმართულებით.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრაზე განხილული იყო თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესი. დაისვა კითხვები კითხვარის ცალკეულ პუნქტებთან დაკავშირებით. აღინიშნა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემქნის პროცესში.

შედგა შეხვედრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან (ერთი დოქტორანტი, რომელიც კვლევითი მიზნით საზღვარგარეთ იმყოფებოდა, შეხვედრაში დისტანციურად ჩაერთო).

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის შექმნის გადაწყვეტილების განმაპირობებელ მიზეზებზე, პროგრამის შემუშავების პრინციპებზე, კულტურის კვლევების, როგორც ინტერდისციპლინური დარგის შესაძლებლობაზე, პროგრამის კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების პერსპექტივებზე

დამსაქმებლებთან შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს თავიანთი დაინტერესება პროგრამის შინაარსით და ისაუბრეს შესაძლებლობებზე, რომელთა შეთავაზება შეუძლიათ კურსდამთავრებულთა დასაქმების თვალსაზრისით, ხაზი გაუსვეს იმ სპეციალისტთა საჭიროებას სხვადასხვა სფეროსათვის, რომელთა მომზადებასაც კულტურის კვლევების პროგრამა ისახავს მიზნად.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, გადამოწმდა საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა.

პროგრამის განმახორციელებელ ძირითად და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას განხილვის საგანი იყო სასწავლო გეგმა, პროგრამის განხორციელების გზები, სადისერტაციო ნაშრომების თემატიკა, სტუდენტებთან მუშაობის ფორმები, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის საშუალებები. აღინიშნა პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი, პროფესურისა და სტუდენტების მხარდაჭერა თსსა ადმინისტრაციის მხრიდან, პროგრამის შემუშავებაზე მუშაობის პროცესში მათი აქტიური და დაინტერესებული ჩართულობა.

შეხვედრაზე თსსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან საუბარი შეეხო პროგრამის სტრუქტურას, კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას, კვლევისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მიმდინარე მუშაობასა და მისი გაძლიერების აუცილებლობას. პასუხი გაეცა ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვებს.

ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, გააანალიზა ინტერვიუების შედეგები, მოამზადა ძირითადი მიგნებების მოკლე აღწერა და გააცნო იგი პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და თსსა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. ექსპერტთა ჯგუფი დაუყოვნებლივ იღებდა ყველა დოკუმენტსა და მასალას, რომელთა გაცნობის საჭიროებაც დგებოდა. ზუსტად იყო დაცული სამუშაო გრაფიკი. საკითხების განხილვის დროს აზრთა ურთიერთგაზიარება კოლეგიალური, საქმიანი და საინტერესო იყო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის იგი მიმართული, რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა აქტუალურია და თავსებადია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს; სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დასაქმების სფეროს მოთხოვნებს. ამავე დროს, წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობამ და ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მკაფიო გეგმა, რომელიც აღწერს, კონკრეტულად როდის და რა მეთოდების გამოყენებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის აკრედიტაციისა და მისი ფუნქციონირების დაწყების შემთხვევაში, ეს გამოყენებული იქნება გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებისათვის.

პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უსდ მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა შერჩევას პროგრამაზე სწავლისათვის. ამავე დროს, გაიცა რეკომენდაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფის თაობაზე, კერძოდ: ინგლისურ ენაზე მითითებულ სასწავლო ლიტერატურას დაემატოს იმავე ლიტერატურის გერმანულ და ფრანგულენოვანი გამოცემის/ელექტრონული მისამართები, ან მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერი, სადაც თავს მოიყრის სხვა ენებზე არსებული იმავე ლიტერატურის ვერსიები. რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, რადგან რუსული ენა ჩაბარების წინაპირობებში არ არის, იგი, შესაძლოა, გადავიდეს ძირითადიდან დამხმარე ლიტერატურაში, ძირითადში კი ჩანაცვლდეს სხვა ენაზე არსებული ვერსიით, ან რიდერში ჩაიდოს მისი ქართული თარგმანი.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამაზე სწავლის შედეგების მიღწევას და პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია.

პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა - კურსის სწავლის შედეგებს. სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი, ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი და მეთოდური ლიტერატურით, შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდებით.

სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსების უმეტესობაში სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, ძირითადად, შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იგი საჭიროებს განახლებას და გამრავალფეროვნებას. სასურველია, ყველა სილაბუსში აღნიშნული იყოს კონკრეტულ კვირაში დასამუშავებელი კონკრეტული ლიტერატურა. ელექტრონული რესურსის მითითების დროს აღინიშნოს, კერძოდ რა იძებნება დასახელებულ მისამართზე.

სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სრულად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტი მუდმივად იღებს უკუკავშირს პედაგოგისაგან და შეუძლია სწავლის შედეგის განხილვა პედაგოგთან. ამავე დროს, რადგან კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ განეკუთვნება იმ სპეციფიკურ სახელოვნებო პროგრამათა რიცხვს, სადაც სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების გარეშე შედეგი ვერ მიიღწევა, გაიცა რეკომენდაცია, დასწრების 10 ქულა გადანაწილდეს სხვადასხვა სააუდიტორიო აქტივობაში, რომელიც უფრო ადეკვატურად უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასებას (გარდა პროფესორის ასისტენტობისა, სადაც დასწრების კომპონენტი შედეგის მიღწევას განაპირობებს).

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის ძირითადი და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც შექმნილი აქვთ სამეცნიერო ნაშრომები შესაბამის სფეროში, მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში, ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციას. აღსანიშნავია პროგრამის პროფესურის ინტერდისციპლინური შემადგენლობა, რომელიც შეესაბამება კულტურის კვლევების ინტერდისციპლინურ ხასიათს. ამავე დროს, სასურველია, გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის საერთაშორისო მაჩვენებელი სტატიების/მონოგრაფიების გამოქვეყნების კუთხით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მათი ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო იმპაქტფაქტორის მქონე გამოცემებში.

სტუდენტები მუდმივად იღებენ ინფორმაციას როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალისაგან. თსსა ცდილობს, ხელი შეუწყოს მათ საერთაშორისო მობილობას, ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობას.

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი გათვალისწინებულია თსსა ბიუჯეტში და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ამავე დროს, უსდ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შემუშავებული რეგულაციით, დოქტორანტები იხდიან არა სწავლის წლიურ საფასურს, არამედ მხოლოდ სასწავლო კომპონენტის (50 ECTS) საფასურს, რომელიც გადანაწილებულია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის განხორციელების კვალდაკვალ. ეს შეიძლება მიჩნეულ იქნას საუკეთესო პრაქტიკად.

ასევე საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს დოქტორანტურის იმ პროგრამებზე, სადაც ჯგუფები მცირერიცხოვანია (კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა მათ რიცხვს მიეკუთვნება), დოქტორანტთა ფოკუს-ჯგუფის გამართვის ტრადიცია მრგვალი მაგიდის ფორმატში, რაც ხელს უწყობს სტუდენტებისაგან უკუკავშირის მიღებას და ეფექტიანად მუშაობს ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მდგრადობისათვის სასურველია, დაიხვეწოს და შეივსოს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები და დასახელებული საკითხები აღიწეროს ერთიან, ფორმალურ პოლიტიკის დოკუმენტში. პროგრამის გაუმჯობესებისათვის ასევე სასურველი იქნება, შესრულდეს გარე კოლეგიური შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები.

ზოგადად, თსსა-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო კონცეფცია, რომელიც მორგებულია დაწესებულების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, მაგრამ კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და ამიტომ ხარისხის განვითარების სრული ციკლი მასთან მიმართებით, ცხადია, არ განხორციელებულა.

ამრიგად, კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს; ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება კი ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოსწორებას და პროგრამის გაუმჯობესებას.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, განისაზღვროს თუ კონკრეტულად როდის, რა პერიოდულობითა და რა მეთოდების გამოყენებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, რაც, პროგრამის აკრედიტაციისა და მისი ფუნქციონირების დაწყების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებისათვის.
  - კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებსა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ფლობა B2 დონეზე) და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ინგლისურ ენაზე მითითებულ სასწავლო ლიტერატურას ახლდეს იმავე ლიტერატურის გერმანულ და ფრანგულენოვანი გამოცემის/ელექტრონული მისამართის მითითება, ან მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერი, სადაც თავს მოიყრის მითითებულის გარდა, სხვა ენებზე არსებული იმავე ლიტერატურის ვერსიები. რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, რადგან რუსული ენა ჩაბარების წინაპირობებში არ არის, იგი, შესაძლოა, გადავიდეს ძირითადიდან დამხმარე ლიტერატურაში, ძირითადში კი ჩანაცვლდეს სხვა ენაზე არსებული ვერსიით, ან რიდერში ჩაიდოს მისი ქართული თარგმანი (სტანდარტი 2.1).
  - რადგან კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ განეკუთვნება იმ სპეციფიკურ სახელოვნებო პროგრამათა რიცხვს, სადაც სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების გარეშე შედეგი ვერ მიიღწევა, ამიტომ რეკომენდებულია, დასწრების 10 ქულა გადანაწილდეს სხვადასხვა სააუდიტორიო აქტივობაში, რომელიც უფრო ადეკვატურად უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასებას. დასწრების 10 ქულის გადანაწილება არ ეხება პროფესორის ასისტენტობას, სადაც დასწრების კომპონენტი შედეგის მიღწევას განაპირობებს (სტანდარტი 2.6).
  - ფორმალიზების უფრო მაღალ ხარისხს საჭიროებს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა: რეკომენდებულია განისაზღვროს და გაიწეროს პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა, სამიზნე ნიშნულები ან მინიმალური მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოყენებული თითოეული პროცედურა და მექანიზმი. ერთიანი, ფორმალური პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნული საკითხების თავმოყრა უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთიან ხედვას, როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებში, ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში (სტანდარტი 5.3).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, ყველა სილაბუსში აღნიშნული იყოს კონკრეტულ კვირაში დასამუშავებელი კონკრეტული ლიტერატურა - როგორც ბეჭდური, ისე

ელექტრონული გამოცემები. ელექტრონული რესურსის მითითების დროს უნდა აღინიშნოს, კერძოდ რა იძებნება დასახელებულ მისამართზე (სტანდარტი 2.3).

- სასურველია, გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის საერთაშორისო მაჩვენებელი სტატიების/მონოგრაფიების გამოქვეყნების კუთხით, მნიშვნელოვანი იქნება მათი ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო იმპაქტფაქტორის მქონე გამოცემებში (სტანდარტი 4.1).
- სასურველია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირთა პროცესში მონაწილეობის ფორმალიზება და დამკვიდრებული პრაქტიკა ასახოს დოკუმენტურად (სტანდარტი 5.1).
- სასურველია, დაწესებულებამ სრულად შეასრულოს გარე კოლეგიური შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები (სტანდარტი 5.2).
- მართალია, მცირერიცხოვან ჯგუფებში ხარისხის შეფასების მიმართულებით არსებობს საუკეთესო პრაქტიკა - დოქტორანტთა ფოკუს-ჯგუფის გამართვა მრგვალი მაგიდის ფორმატში, მაგრამ სასურველია დაიხვეწოს და შეივსოს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები, რომლებიც ამ ეტაპზე არ მოიცავს კითხვებს ნაშრომის ხელმძღვანელობის თუ კვლევის პროცესში გაწეული კონსულტაციების შესახებ; ასევე, დოქტორანტების მიერ სემესტრულად გაწეული შრომის ანგარიშის ფორმა მოიცავდეს კვლევის პროცესში დოქტორანტთა მხარდაჭერის შეფასებას (სტანდარტი 5.3).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შემუშავებულია რეგულაცია (ოქმი #1. 01.03.2017. დადგენილება #1, 2017), რომლის თანახმად, დოქტორანტები იხდიან არა სწავლის წლიურ საფასურს, არამედ მხოლოდ სასწავლო კომპონენტის (50 ECTS) საფასურს. ამასთან, ეს თანხა გადანაწილებულია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის განხორციელების კვალდაკვალ. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს იმას, რომ დოქტორანტებს ნაკლებად უწევთ სტატუსის შეჩერება (სტანდარტი 4.4).
  - თსსა-ს აქვს დოქტორანტურის საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების კარგი პრაქტიკის გამოცდილება, რაც გულისხმობს მცირერიცხოვან ჯგუფებში დოქტორანტთა ფოკუს-ჯგუფის გამართვას მრგვალი მაგიდის ფორმატში (სტანდარტი 5.3).

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ**

ექსპერტები გაეცნენ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არგუმენტირებულ პასუხს დასკვნის პროექტზე. თსსა-მ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები 2.1, 2.6 და 5.3 ქვესტანდარტებთან მიმართებით, ასევე განმარტა მათი განხორციელების მიმართულებით მიმდინარე მუშაობა. ქვესტანდარტ 1.2-თან დაკავშირებით წარმოდგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები (იხ. დანართი 1), რომელიც გამართულია და სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. როგორც ჩანს, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ამოქმედების კვალობაზე, ეს სისტემა და მექანიზმები, აგრეთვე სამიზნე ნიშნულები დაზუსტდება ამ პროგრამასთან მიმართებით. ექსპერტები დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ არგუმენტირებულ პასუხს და ძალაში ტოვებენ რჩევებს პროგრამის განვითარებისათვის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამა ეფუძნება უსდ-ში არსებულ სწავლებისა და კვლევის ტრადიციას და, ამავე დროს, ითვალისწინებს კულტურის კვლევათა სფეროში ახალი ტენდენციებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. თსსა უმთავრესი ინტერესი ვიზუალური კულტურის შესწავლასა და კვლევაზე, აგრეთვე ამ სფეროთა პრაქტიკოსების მომზადებაზეა კონცენტრირებული. უსდ-ს აქვს სახელოვნებათმცოდნეო პერსპექტივიდან კვლევისა და სწავლების მდიდარი გამოცდილება, კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა კი ამ გამოცდილებას შეავსებს და შექმნის თანამედროვე ვიზუალურ და საკომუნიკაციო სივრცეში ფართოდ გამოყენებადი გამოსახულებების (მიმები, ლოგო და ა.შ.), მათი მნიშვნელობის და მათით მანიპულაციის ფართოდ გააზრების შესაძლებლობას. კულტურის კვლევებში ერთ-ერთი ახალი ტენდენცია თანამედროვე ვიზუალური კულტურის, მედიაკომუნიკაციებისა და მედიასივრცის, მასში მოქმედი ნიშნების კვლევას უკავშირდება, რომელიც მოიცავს ესთეტიკურ, ანთროპოლოგიურ, სახელოვნებო, ფილოსოფიურ, სემიოტიკურ და სხვა ასპექტებს, რომელთა თავმოყრა და კომპლექსური ანალიზი სწორედ კულტურის კვლევების, როგორც ინტერდისციპლინური დარგის ფარგლებშია შესაძლებელი. ამ ასპექტების შესწავლა და სწავლება, თანამედროვე ინფორმაციულ და მედია-კულტურის ფილოსოფიაზე დაყრდნობით, წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის „კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)“ მიზანს. დასახელებული მიმართულებით მომზადებული კვალიფიციური მკვლევრები საქმიანობას შეძლებენ სხვადასხვა პრაქტიკულ სფეროსა (თანამედროვე მედიასივრცე და ხელოვნება, ელექტრონული, ბეჭდური და ციფრული მედიასაშუალებები, სამთავრობო, არასამთავრობო თუ ბიზნეს ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან საერო და რელიგიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მედიაკომუნიკაციების ფუნქციონირებით, ნიშანთა სისტემების მოქმედებით, მათი მნიშვნელობითა და გავლენით) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის შინაარსი, რომელიც ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე, შეესაბამება მიზნებს და მოსალოდნელ შედეგებს. პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი და თსსა ადმინისტრაცია ქმნიან სათანადო პირობებს პროგრამის განსახორციელებლად, სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა ჩასართავად, მათი პედაგოგიური უნარების ჩამოსაყალიბებლად, რაც, აკრედიტაციის შემთხვევაში, იძლევა პროგრამის წარმატებით

ფუნქციონირების იმედს.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ფაკულტეტისა და თსსა მისიასა და მიზნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მისია;
- რესტავრაცია/ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის მიზნები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უსდ ადმინისტრაციასთან, უსდ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, აგრეთვე დოქტორანტურის საგანმანათლებლო დონისთვის დადგენილ მოთხოვნებს; მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

სწავლების შედეგები გაწერილია ცოდნისა და გაცნობიერების (5 შედეგი), უნარების (5 შედეგი) და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის (2 შედეგი) კომპეტენციების მიხედვით. სწავლის შედეგების რუკებში (სწავლის შედეგების რუკა 1 და 2) მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამაში ასახულ სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს. მათში ნაჩვენებია, რომელი სასწავლო კურსები, აქტივობები თუ კვლევითი კომპონენტ(ებ)ი უზრუნველყოფს ამა თუ იმ შედეგის მიღწევას.

პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება თანამედროვე ცოდნა კულტურის კვლევათა იმ მიმართულებაში, რომელიც პროგრამის სათაურით და შინაარსით არის განსაზღვრული; იგი შეძლებს, ნათლად გაიაზროს და გააანალიზოს როგორც მედიასა და ვიზუალურ კულტურაში მიმდინარე პროცესები, ასევე კონტექსტი - სოციალური და კულტურული გარემო, სადაც ეს პროცესები მიმდინარეობს; დამოუკიდებლად დაგეგმოს და წარმართოს კვლევა, შეარჩიოს სათანადო კვლევის მეთოდები და თეორიული ჩარჩო მოძიებული მასალა გაანალიზებისათვის; ამ კვლევაზე დაყრდნობით, შექმნას ახალი ცოდნა და გაუზიაროს იგი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას; მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი სასწავლო აუდიტორიაში, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს უნივერსიტეტში განსაზღვრავს ორი ძირითადი დოკუმენტი: „სწავლის შედეგების შეფასების, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმებისა და შედეგების ანალიზის“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ (№ 05/431, 22 მარტი, 2022) და წარმოდგენილი იყო საკრედიტაციო მასალებში, და „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები“ (დამტკიცებული თსსა აკადემიური საბჭოს მიერ, №43, 17.03.2022).

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხდება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების ფორმებით. შემდგომში სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგი შემდეგნაირად ხორციელდება: სასწავლო პროცესის მართვისა და ხარისხის მართვის სამსახურები მუდმივად კრებენ, აანალიზებენ და განიხილავენ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (შუალედური და ფინალური გამოცდების შედეგები, ძირითად და დამატებით გამოცდაზე გასული სტუდენტების სტატისტიკა) მონაცემებს, რაც შემდეგ საფუძვლად ედება კონკრეტული პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების დინამიკის ანალიზს პროგრამის განხორციელების სრული ციკლის პერიოდში. ასევე გაანალიზდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის (ძირითადი და მოწვეული) კმაყოფილების კვლევის შედეგები. სწავლის შედეგების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ასევე არაპირდაპირი შეფასება: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები,

დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულთა შეფასება, კარიერული წინსვლის მაჩვენებელი და სხვ. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებსა და მეთოდოლოგიას განსაზღვრავს სწორედ „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები“. დოკუმენტის მიხედვით, შედეგების კომპლექსური ანალიზისათვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. ამასთან, ზემოხსენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სწავლის შედეგებისთვის უნდა განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, რაც არ არის წარმოდგენილი კურიკულუმის რუკაზე, ასევე არ იქნა დამატებით წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, რაც ასახავდა დეტალურ ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე. შესაბამისად, მიუხედავად უნივერსიტეტში არსებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიისა, რომელიც სრულად ეხმიანება სტანდარტის მოთხოვნებს, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნებისთვის არ არის განსაზღვრული, თუ პროგრამის რომელი კომპონენტის ფარგლებში, როდის და რა პერიოდულობით, შეფასების რომელი პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და ასევე, არ არის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები. იგივე დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობა. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებისთვის განხორციელდება მათი გამოკითხვა საგანგებო ანკეტების საშუალებით. იქიდან გამომდინარე, რომ ვიზიტის ფარგლებში, მათ შორის, დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის შედეგად, ვერ იქნა მოძიებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, პერიოდულობას თუ სამიზნე ნიშნულებს, რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს, როდის და რა მეთოდების გამოყენებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, რაც, პროგრამის აკრედიტაციისა და მისი ფუნქციონირების დაწყების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სწავლის შედეგების რუკა 1 და 2; • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები (№ 05/431, 22 მარტი, 2022); • სწავლის შედეგების შეფასება, აკადემიური მოსწრების შეფასების მექანიზმები და შედეგების ანალიზი (№ 05/433, 22 მარტი, 2022); • გამოკითხვა-ანკეტების ფორმები; • სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ უსდ ადმინისტრაციასთან, უსდ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და

მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები, განისაზღვროს თუ კონკრეტულად როდის, რა პერიოდულობითა და რა მეთოდების გამოყენებით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, რაც, პროგრამის აკრედიტაციისა და მისი ფუნქციონირების დაწყების შემთხვევაში, გამოყენებული იქნება გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურაში მიღება წარმოებს თსსა აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოქტორანტურის დებულების შესაბამისად (№ 05/585, 18 აპრილი, 2022), რომელშიც მოცემულია დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ. კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგებში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს (იხ. № 05/585, 18 აპრილი, 2022). პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე: დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს რეფერატს საკვლევ საკითხზე და მის წინაშე წარდგება საკუთარი სამეცნიერო პროექტის ვრცელი ზეპირი პრეზენტაციით, რომლის დროს ისაუბრებს საკვლევად შერჩეულ თემაზე, ძირითად პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, სავარაუდო კვლევის მეთოდებზე. პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომლის გამცემი კომპეტენტური ორგანოები, ისევე როგორც გაცემის ვადა, განსაზღვრულია მიღების პირობებით. სერტიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს რომელიმე დასახელებულ ენაზე. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია ჩააბაროს აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა აგრეთვე 3 წლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში. ერთგვარი შეუსაბამობაა სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობასა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ფლობა B2 დონეზე) და სასწავლო ლიტერატურის მითითებას შორის, რადგან ლიტერატურა, უმეტეს შემთხვევაში, ინგლისურ და, ზოგ შემთხვევაში, რუსულ ენაზე. გამოსავალი იქნებოდა: ა) იმავე ლიტერატურის გერმანულ და ფრანგულენოვანი გამოცემის/ელექტრონული მისამართის მითითება, 2) სასწავლო კურსის რიდერის მომზადება, სადაც თავს მოიყრიდა მითითებულის გარდა, სხვა ენებზე არსებული იმავე ლიტერატურის ვერსიები; 3) რადგან რუსული ენა ჩაბარების წინაპირობებში არ არის, თუ სტუდენტმა რუსული ენა არ/ცუდად იცის, იგი მხოლოდ ნაწილობრივ გავა სწავლის შედეგზე/კომპეტენციაზე; ამიტომ რუსულენოვანი ლიტერატურა, შესაძლოა, გადავიდეს ძირითადიდან დამხმარე ლიტერატურაში, ძირითადში კი ჩანაცვლდეს სხვა ენაზე არსებული ვერსიით, ან რიდერში ჩაიდოს მისი ქართული თარგმანი.

თსსა დოქტორანტურაში მიღების პირობები საჯაროა, გამჭვირვალე და მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, განთავსებულია თსსა ვებგვერდზე www.art.edu.ge. აკრედიტაციის შემთხვევაში, ეს წესი გავრცელდება ამ პროგრამაზეც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება (№ 05/585, 18 აპრილი, 2022); • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებსა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ფლობა B2 დონეზე) და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ინგლისურ ენაზე მითითებულ სასწავლო ლიტერატურას ახლდეს იმავე ლიტერატურის გერმანულ და ფრანგულენოვანი გამოცემის/ელექტრონული მისამართის მითითება, ან მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერი, სადაც თავს მოიყრის მითითებულის გარდა, სხვა ენებზე არსებული იმავე ლიტერატურის ვერსიები. რაც შეეხება რუსულენოვან ლიტერატურას, რადგან რუსული ენა ჩაბარების წინაპირობებში არ არის, იგი, შესაძლოა, გადავიდეს ძირითადიდან დამხმარე ლიტერატურაში, ძირითადში კი ჩანაცვლდეს სხვა ენაზე არსებული ვერსიით, ან რიდერში ჩაიდოს მისი ქართული თარგმანი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია თსსა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შესაბამისად. მისი სტრუქტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამის სავალდებულო კომპონენტების კრედიტების ჯამი შეადგენს 50, საიდანაც სავალდებულო კურსები 45 კრედიტია, ხოლო არჩევითი კურსები - 5 კრედიტი.

სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს;

- საფაკულტეტო სასწავლო კურსებს (15 კრედიტი: კულტურის კვლევის თანამედროვე მეთოდები - 5, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა - 5, პროფესორის ასისტენტობა - 5);
- 2 სემინარს სპეციალობაში (10+10=20 კრედიტი) და
- ინტერდისციპლინურ სემინარს (10 კრედიტი).

სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს კულტურის კვლევების სფეროში დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, კვლევითი უნარების განვითარებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

ორი სემინარი სპეციალობაში ემსახურება კულტურის კვლევების სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავებას და დამოუკიდებელი კვლევისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას. დოქტორანტი, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ირჩევს პრობლემას კულტურის კვლევების რომელიმე კონკრეტული სფეროდან, გამოკვეთს შესასწავლ საკითხს, არჩევს კვლევის მეთოდს, კრიტიკულად გაიაზრებს არსებულ მოსაზრებებს, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და თავისი შრომის შედეგს წარადგენს აუდიტორიის წინაშე. იმდენად, რამდენადაც სემინარის თემა არ წარმოადგენს დისერტაციის ნაწილს, იგი აფართოებს და აღრმავებს დოქტორანტის ცოდნას კულტურის კვლევების სფეროში იმ მიმართულებით, რომელიც დაზუსტებულია პროგრამის სახელწოდებაში.

რაც შეეხება ინტერდისციპლინურ სემინარს, იგი მიზნად ისახავს დოქტორანტის ცოდნის გაფართოებას ჰუმანიტარული ცოდნის მომიჯნავე სფეროში, ინტერდისციპლინური კვლევის მნიშვნელობის გააზრებასა და ასეთი კვლევის უნარის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, სემინარები ხელს უწყობს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

არჩევითი კურსების (5 კრედიტი) სახით შეთავაზებულია სამი საგანი:

- თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (5 კრედიტი),
- შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა (5 კრედიტი),

- მედია კომუნიკაციები და ინფორმაციული ძალაუფლება (5 კრედიტი).

არჩევითი კურსები მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს კულტურის კვლევების სხვადასხვა მიმართულებით მისთვის საინტერესო სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა, რაც დაეხმარება მის პროფესიულ ზრდას.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 2 კოლოკვიუმს, სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას და საჯარო დაცვას.

პროგრამის კომპონენტები (სავალდებულო და არჩევითი საგნები, დოქტორანტის სემინარები, კოლოკვიუმები და სადისერტაციო ნაშრომი) ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (0314.1.4 კულტურის კვლევები) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების ჩამონათვალი;
- სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება თითოეულ კურსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და არასაკონტაქტო/დამოუკიდებელი საათები) უზრუნველყოფს მათი სწავლების შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები სტუდენტს უმუშავებს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ფართო სპექტრს, რაც პროფილით დასაქმების წინაპირობას წარმოადგენს.

პროგრამის სასწავლო გეგმა მკაფიოდ არის გაწერილი. თეორიული საგნების გარდა, დოქტორანტისთვის სავალდებულოა 3 თემატური სემინარი – 2 სპეციალობაში (კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)) და 1 ინტერდისციპლინური, რომელთა შეფასების წესი და კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით. ასევე სავალდებულოა პროფესორის ასისტენტობა, რაც სტუდენტს აძლევს საშუალებას, პრაქტიკულად აითვისოს და გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებიც გამოადგება ახალი ცოდნის გადაცემაში; შეძლოს ლექციისა და სემინარის მომზადება, დაგეგმვა და ჩატარება; გამოიმუშაოს მისი ფორმატისა და სწავლების მეთოდის შერჩევის, აგრეთვე, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, სტუდენტის ცოდნის შეფასების უნარი.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, ძირითადად, ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს, მისაწვდომია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა განკარგულებაშია თსსა ცენტრალური ბიბლიოთეკა, ლ. რჩეულიშვილის სახელობის კაბინეტი-ბიბლიოთეკა, ჯოზეფ კეიგლის სახელობის ამერიკული ხელოვნების და არქიტექტურის საინფორმაციო რესურსების ცენტრი. თსსა-ს თანამშრომლებს და სტუდენტებს აქვთ უფასო წვდომა სხვადასხვა სამეცნიერო ბაზაზე, როგორც ადგილიდან, ასევე დისტანციურად, ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

ამავე დროს, ყველა სილაბუსში არ არის მოცემული კონკრეტული სასწავლო კვირისათვის დასამუშავებელი ლიტერატურის მითითება, გარდა ამისა, სილაბუსებში ელექტრონული რესურსის მითითების დროს უნდა აღინიშნოს, კერძოდ რა იძებნება დასახელებულ მისამართზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გარე შეფასების დოკუმენტში, რომელიც 20.07.2021 თარიღდება, მოცემულია ზოგიერთი შენიშვნა ლიტერატურასთან (თანამედროვე, ახალი ლიტერატურის მითითება, რუსულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემა, ელექტრონული რესურსის მითითება) დაკავშირებით. განვლილ პერიოდში პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს, უმეტესად, გაუთვალისწინებია ეს შენიშვნები, თუმცა მუშაობა კიდევ გასაგრძელებელია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • გარე შეფასების დოკუმენტი (20.07.2021).
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, ყველა სილაბუსში აღნიშნული იყოს კონკრეტულ კვირაში დასამუშავებელი კონკრეტული ლიტერატურა - როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული გამოცემები. ელექტრონული რესურსის მითითების დროს უნდა აღინიშნოს, კერძოდ რა იძებნება დასახელებულ მისამართზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს, გამოიმუშაოს სწავლების თანამედროვე მეთოდების, გამოცდილებისა და მიდგომების გამოყენების, აგრეთვე სააუდიტორიო სწავლების პროცესში ცოდნის ტრანსფერის უნარები. ამ უკანასკნელის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორის ასისტენტობა, რომელიც მოიცავს სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარებას, სტუდენტთა შუალედური და ფინალური გამოცდების საკითხების და ტესტების მომზადებას, საგამოცდო ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას, რაც ხელს უწყობს პედაგოგისათვის საჭირო უნარების განვითარებას. ორი სავალდებულო სემინარი სპეციალობაში (კულტურის კვლევები) და ერთ ინტერდისციპლინური სემინარი, რომლებიც სავალდებულოა სტუდენტისათვის და რომელთა თემა არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი, მოიცავს ორ კომპონენტს: წერით ნაშრომს და მის ზეპირ პრეზენტაციას. ისინი დოქტორანტს უვითარებენ თანამედროვე ინფორმაციული კულტურის ფილოსოფიურ და სოციოკულტურულ კონტექსტში გააზრების უნარს, ხელს უწყობენ ინფორმაციული კულტურის სამეტყველო/ლინგვისტური ფორმებისა და კულტურის კვლევათა ინტერდისციპლინურ სფეროში ამ ფორმების გამოყენების შესაძლებლობათა გაცნობიერებას. ინტერდისციპლინური სემინარი სტუდენტს საშუალებას აძლევს, გამოიმუშაოს თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი კონკრეტული საკითხების შესწავლის პროცესში, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების სფეროში არჩეული პრობლემების ანალიზის გზით. კოლოკვიუმები, რომლებიც სადისერტაციო კვლევითი ნაშრომის ნაწილია, ისევე როგორც თავად სადისერტაციო ნაშრომი, უზრუნველყოფს სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას. კოლოკვიუმებზე დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი არგუმენტირებულად გადმოსცემს გაწეული მუშაობის შედეგ(ებ)ს. მისი მომზადების დროს სტუდენტს უვითარდება მოძიებული მასალის კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, საკუთარი მოსაზრების მკაფიო დასაბუთების, განსხვავებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზის, შემოქმედებითი აზროვნების უნარები, ხოლო ნაშრომის პრეზენტაცია ეხმარება მას სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბოლოო შედეგი აისახება სადისერტაციო ნაშრომში, რომლითაც სრულდება კვლევითი კომპონენტი. ნაშრომი უნდა წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს, წარმოაჩენდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, ქმნიდეს ახალ ცოდნას და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, წინასწარი შეფასების, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია დოქტორანტურის დებულებით. თსსა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტთა, მათ შორის, დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებასა

და კვლევებში მათ ჩართვაზე ზრუნვა უსდ-ს ერთ-ერთ პრიორიტეტად აქვს მიჩნეული. ამ მიზანს ემსახურება სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც, პროფესურასთან ერთად, სტუდენტებიც მონაწილეობენ; ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ACADEMIA, რომლის რუბრიკაში „დებიუტი“ ეთმობა სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურის სტუდენტების საუკეთესო ნაშრომებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტურის დებულება; • ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ACADEMIA; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია სწავლა-სწავლების კონკრეტული მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, მიზანს, სავარაუდო შედეგებს და ემყარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს.

სასწავლო კურსებში გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი,
- წიგნზე მუშაობის მეთოდი,
- წერითი მუშაობის მეთოდი,
- დემონსტრირების მეთოდი,
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი,
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი,
- ევრისტიკული მეთოდი,
- ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები,
- პრაქტიკული მეთოდები: შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, გონებრივი იერიში (Brain storming).

სტუდენტები ამზადებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტს და წარადგენენ მას ჯგუფის წინაშე. ჯგუფური მუშაობის დროს იმართება დისკუსია/დებატები.

სწავლა-სწავლების პროცესში ამ მეთოდების გამოყენება ორიენტირებულია სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობაზე და მიმართულია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბებისაკენ. მას უვითარდება კვლევის მიზნის განსაზღვრის, სამუშაო ჰიპოთეზის დასახვის, ადეკვატური კვლევითი მეთოდების შერჩევის, სამუშაო პროცესის დაგეგმვის, დროის სწორი მენეჯმენტის უნარები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისათვის. ხელმძღვანელის კონსულტაციით დოქტორანტის მიერ შერჩეული კვლევის მეთოდების გამოყენების ეფექტიანობა ფასდება კვლევის შედეგების პრეზენტაციის დროს.

პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ დოქტორანტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები; პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისი შეფასების სისტემით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს

შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას (მაქსიმუმ 100 ქულა). შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონის შესაბამისია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით და ინტერვიუებით.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში დასწრება ფასდება ცალკე კომპონენტად და შეესაბამება 10 ქულა. პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან, ხელმძღვანელთან, აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ეს აიხსნა სახელოვნებო დარგების სპეციფიკით, რომელიც საჭიროებს მეცადინეობებზე დასწრებას. თუმცა, რადგან კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ განეკუთვნება იმ სპეციფიკურ სახელოვნებო პროგრამათა რიცხვს, სადაც საუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების გარეშე შედეგი ვერ მიიღწევა, მნიშვნელოვანია, დასწრების კომპონენტის შეფასების 10 ქულა გადანაწილდეს სხვადასხვა აქტივობაში, რომელიც უფრო ადეკვატურად უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასებას; ეს არ ეხება პროფესორის ასისტენტობას, რადგან იქ დასწრების კომპონენტი შედეგის მიღწევას განაპირობებს.

უნივერსიტეტის მიერ დოქტორანტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი, რომლებიც დოქტორანტებისთვის გამჭვირვალეა და აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უკუკავშირს. უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა.

უნივერსიტეტის მიერ კომპლექსურად ხორციელდება მომიჯნავე დარგის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, რაც გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ უზრუნველყოფს ონლაინ პორტალის (emis.art.edu.ge) მეშვეობით სტუდენტების მიერ დისციპლინაში მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც მოქნილი ფორმით ხორციელდება. მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას აღინიშნა, რომ დაწესებულება სისტემატიურად იღებს უკუკავშირს სწავლის შედეგებზე; ასევე, ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ახორციელებს მხარდამჭერ კონსულტაციებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით.

სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგი ტიპის შეფასებებს:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ექვსი თვიდან ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი; ხოლო არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების თანახმად, სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემით გათვალისწინებული ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კულტურის კვლევების დოქტორის კვალიფიკაცია / აკადემიური ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რადგან კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა არ განეკუთვნება იმ სპეციფიკურ სახელოვნებო პროგრამათა რიცხვს, სადაც სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების გარეშე შედეგი ვერ მიიღწევა, ამიტომ რეკომენდებულია, დასწრების 10 ქულა გადანაწილდეს სხვადასხვა სააუდიტორიო აქტივობაში, რომელიც უფრო ადეკვატურად უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნის/უნარის/კომპეტენციის შეფასებას. დასწრების 10 ქულის გადანაწილება არ ეხება პროფესორის ასისტენტობას, სადაც დასწრების კომპონენტი შედეგის მიღწევას განაპირობებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები სტუდენტებისათვის ადვილად გასაგები და მარტივად

ხელმისაწვდომია (მომიჯნავე დარგის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინტერვიუებში აღნიშნავენ, უსდ-ს მიერ შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების ხელმისაწვდომობას).

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელის, აგრეთვე ადმინისტრაციის მუდმივ მზადყოფნას მათთვის ინფორმაციის მიწოდების, მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, მუდმივ ელექტრონულ კომუნიკაციას როგორც პროფესურასთან, ასევე ადმინისტრაციასთან, შემოთავაზებებს ტრენინგებში მონაწილეობაზე, ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობას კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებშიც.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. მათ საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი დისციპლინა. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის (emis.art.edu.ge) მეშვეობით ყველა სერვისი ხელმისაწვდომი, მოქნილი და კომფორტულია.

დოქტორანტების ინტერესების გათვალისწინებით, სალექციო ცხრილის მიხედვით ლექციები ტარდება საღამოს საათებში. უნივერსიტეტი ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას თუ თანადაფინანსებას კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობისას, რაც აღინიშნა მომიჯნავე დარგის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში. სტუდენტები საუბრობდნენ იმაზე, რომ ისინი სულ უფრო ხშირად აკეთებენ განაცხადს სხვადასხვა სტიპენდიისა და გრანტის მოსაპოვებლად. შეხვედრის მონაწილეთაგან ერთს მიღებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი დოქტორანტებისათვის, ერთს ახლა აქვს შეტანილი განაცხადი, ერთ მათგანს კი მიღებული ჰქონდა კარნეგის სტიპენდია.

2016 წლიდან თსსა ჩართულია ერასმუს+ პროგრამაში, საერთაშორისო კრედიტ მობილობის ქვეპროგრამის (International Credit Mobility – ICM) მიმართულებით. აკადემიას ჰყავს 26 ერასმუს პარტნიორი უნივერსიტეტი ევროპის 14 ქვეყნიდან და სხვა საერთაშორისო პარტნიორები (იხ. https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=6-3). სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებენ გაცვლით აქტივობებში. ინფორმაცია ერასმუს პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული მობილობის გრანტების და აპლიკაციის დედლაინის შესახებ ცხადდება თსსა ვებ-გვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, აგრეთვე მიეწოდება შესაბამის ფაკულტეტს. ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის გზამკვლევი მისაწვდომია მისამართზე https://drive.google.com/file/d/1Yq6a8Ge82pKD1ASVqN0eNWuT6knFHX8i/view. გარდა ამისა, თსსა სემესტრში ერთხელ ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, ერამუს+ მობილობის შესახებ.

თსსა ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას ადგილობრივი და

საერთაშორისო სასწავლო და კვლევითი პროექტების შესახებ და მათ ჩართვას აღნიშნულ პროექტებში. ფაკულტეტზე ამ მიზნით საგანგებოდ გამოყოფილი კოორდინატორი ორგანიზებას უწევს ამ სამუშაოს და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს აწვდის ნებისმიერი სახის ინფორმაციას. ასევე პრიორიტეტად არის მიჩნეული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სტაჟირება უცხოეთის უნივერსიტეტებში და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე აქტიურად მიმდინარეობს. უსდ ახორციელებს კარიერული განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებს. სისტემატიურად აწვდის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. დაწესებულებას აქვს ადგილობრივი კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში სტუდენტების მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტურის დებულება; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • თსსა ვებგვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება, პირველ რიგში, კვალიფიციურად შედგენილი პროგრამის მასალებით, ასევე დოკუმენტებით (თანდართული CV-ით) და მათთან გასაუბრებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დისერტაციის ხელმძღვანელი აგრეთვე შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სამეცნიერო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს დოქტორანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენისას და კონტროლს უწევს ამ გეგმის განხორციელება/შესრულებას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხელმძღვანელი აკეთებს ანგარიშს მის მიერ დოქტორანტთან ჩატარებული სამუშაოს შესახებ. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია, რეგულარულად ჩაუტაროს კონსულტაციები დოქტორანტს. კონსულტაციების სიხშირე სამეცნიერო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე დგინდება ხელმძღვანელისა და დოქტორანტის შეთანხმებით. კონსულტაციების მინიმალური რაოდენობა - წელიწადში 4 კონსულტაცია;

ხელმძღვანელის კონსულტაცია მოიცავს:

- დოქტორანტისათვის სამეცნიერო თუ ტექნიკური ხასიათის რჩევების მიცემას;
- დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას;
- კვლევის დიზაინსა და მენეჯმენტში დოქტორანტის დახმარებას;
- ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში დოქტორანტის ინტეგრირების ხელშეწყობას;
- სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის, ან

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის რჩევების მიცემას. თუ დოქტორანტმა 3 წლის თავზე ვერ დაასრულა სადისერტაციო ნაშრომი, მისი ხელმძღვანელი წერილობით თხოვნით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს მაქსიმუმ 2 წლით გაუხანგრძლივოს მას დოქტორანტურაში სწავლის ვადა. საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის აქტიური სტატუსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტურის დებულება; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ში აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თსსა წესდების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულების კატეგორია აკადემიური თანამდებობის პირთან (A, B ან C) დამოკიდებულია სამუშაო დატვირთვაზე, ჯგუფების ოდენობასა და სხვა ფაქტორებზე. აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაო დატვირთვის ცვლილება განაპირობებს შრომითი ხელშეკრულების კატეგორიის ცვლილებასაც, რაც შესაძლოა განხორციელდეს ყოველი სასწავლო სემესტრისათვის, აკადემიური თანამდებობის არჩევითი ვადის განმავლობაში.

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამაში ჩართულია სულ 11 პერსონალი - აქედან 6 აკადემიური (2 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი), 1 სამეცნიერო და 4

მოწვეული პერსონალი. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, აღნიშნული პროგრამა გეგმავს აკადემიური პერსონალის გაზრდას. შემდეგი სემესტრისთვის გამოცხადდება კონკურსი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

როგორც თანდართული დოკუმენტების შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამაში ჩართულ ძირითად და მოწვეულ პერსონალს მნიშვნელოვანი სამეცნიერო-სასწავლო პროდუქცია აქვს შექმნილი (სახელმძღვანელოები, რიდერები, ცალკეული თარგმანები), რაც ერთი მხრივ მათ კომპეტენციაზე მიუთითებს და მეორე მხრივ, ეხმარება სტუდენტებს ცოდნის მიღებაში. აღსანიშნავია პროგრამის პროფესურის ინტერდისციპლინური შემადგენლობა, რომელიც ზუსტად შეესაბამება შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დამსაქმებლების მხრიდან წარმოდგენილ მოთხოვნებს. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს იმ სფეროში სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, რომელსაც უძღვებიან პროგრამის ფარგლებში. მათი კვალიფიკაცია, გამოქვეყნებული შრომები და პედაგოგიური კომპეტენცია შესაძლებლობას იძლევა, სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს, რომლებიც კულტურის კვლევების ინტერდისციპლინური სფეროდან მათი კომპეტენციის სფეროს შესაბამის საკვლევ თემას აირჩევენ.

სასურველია მომავალში გაიზარდოს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის საერთაშორისო მაჩვენებელი სტატიების/მონოგრაფიების გამოქვეყნების კუთხით. ინტერვიუს დროს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა ხაზი გაუსვა ამ სამსახურის საქმიანობას სტუდენტთა და პროფესურის ხელშეწყობის მიმართულებით. იმისთვის, რომ მათ მაქსიმალურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საგრანტო პროგრამაში, მოიძიონ დაფინანსება, გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევის შედეგები საქართველოსა და საზღვარგარეთ. ამ მიზნით მათ სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია, ტარდება ტრენინგები.

თვითშეფასების დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამის პერსონალის მიერ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობაა 44, მაგრამ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა მხოლოდ 6. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სამხატვრო აკადემიაში არსებული ჟურნალის „ACADEMIA" საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალად ქცევა, რის მზადყოფნაც გამოითქვა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში როგორც ადმინისტრაციის, ასევე პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის მხრიდან.[3] კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება მათი ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო იმპაქტფაქტორის მქონე გამოცემებში.

პერსონალის პირადი საქმეები და ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ადგილობრივ თუ უცხოურ უნივერსიტეტებთან, იღებს მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ტრენინგებში (ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 8; საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 14).

სადოქტორო პროგრამა პირველ ეტაპზე აპირებს მხოლოდ სამი დოქტორანტის მიღებას,

[3] ჟურნალის შესახებ: https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=1-8

ასეთ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების შეფარდება იქნება 6/3. უნივერსიტეტის რეგულაციის თანახმად, თითოეულ პროფესორს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 3 დოქტორანტისა. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს აქვს შეჩერებული რეგისტრაცია, სამეცნიერო ხელმძღვანელს სტუდენტი რაოდენობაში არ ეთვლება. ხელმძღვანელის კონსულტაცია მოიცავს: დოქტორანტისათვის სამეცნიერო თუ ტექნიკური ხასიათის რჩევების მიცემას; დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას; კვლევის დიზაინსა და მენეჯმენტში დოქტორანტის დახმარებას; ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში დოქტორანტის ინტეგრირების ხელშეწყობას; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის რჩევების მიცემას. თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული დატვირთვა საშუალებას იძლევა, აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო აქტივობების განხორციელება და დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სწავლების გარდა, აქტიურადაა ჩართული სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად არის ჩართული დარგის შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში. მას აქვს როგორც სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლების, ასევე სასწავლო პროგრამების შემუშავების, სასწავლო პროცესის მართვის გამოცდილება. შესაბამისად, ის კარგად იცნობს ამ სფეროს სპეციფიკას და ადეკვატურად აფასებს სადოქტორო პროგრამის სამომავლო გამოწვევებს. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. თვითშეფასების დოკუმენტის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა თვითშეფასების ჯგუფის საქმიანობაში.

პროგრამის განხორციელებაში, აკადემიური პერსონალის გარდა, მონაწილეობას იღებენ აკადემიის მართვის ორგანოები და სხვა სტრუქტურული ერთეულები. პროგრამას ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

ფაკულტეტზე დოქტორანტთა მომსახურებას ახორციელებს კოორდინატორი, რომელსაც თავად აქვს აკადემიური ხარისხი. კოორდინატორი ახდენს სტუდენტების ინფორმირებას დოქტორანტურაში ჩაბარების, სწავლისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების შესახებ. სხვა მოვალეობებთან ერთად, კოორდინატორის ვალდებულებაში შედის დოქტორანტთა პირადი საქმეების წარმოება და სადოქტორო პროგრამების დებულებით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტისა თუ ნაშრომის პირად საქმეში დართვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების

ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება N 05/585;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი;
- შრომის ბაზრის კვლევა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, გაიზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის საერთაშორისო მაჩვენებელი სტატიების/მონოგრაფიების გამოქვეყნების კუთხით, მნიშვნელოვანი იქნება მათი ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო იმპაქტფაქტორის მქონე გამოცემებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრეს (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა რეგულარულად კრებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და ახდენს მათ ანალიზს. თსს აკადემიაში დანერგილია განსხვავებული ხარისხის შეფასების მექანიზმები შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებებისთვის. სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სისტემატიური შეფასების მიზნით, თსსა სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია ყოველწლიურად შესავსები ანგარიშის ფორმა. აკადემიური და სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მიერ შეფასების ფორმის შევსების მეშვეობით ხდება სამეცნიერო შედეგების ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობა, მაგალითად, მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო პუბლიკაცია, სამეცნიერო/კვლევითი პროექტი და სხვ.

შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისთვის. აკადემიაში არსებობს სილაბუსების სარეკომენდაციო ფორმა და ხორციელდება მათი შეფასებისა და სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების პრაქტიკა. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი დადებითად აფასებს სილაბუსების შემუშავებისას ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობის პროცესს.

პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარის შედეგები, განსაკუთრებით, სწავლებისა და შეფასების სისტემის საკითხებთან დაკავშირებით. ხარვეზების აღმოჩენისას აკადემია პერსონალს სთავაზობს ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და სემინარებს. ეს ზრდის პერსონალის ინფორმირებულობას ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. თსსა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებში. აკრედიტაციის ვიზიტზე გამოვლინდა, რომ ამ შესაძლებლობას პროგრამაში ჩართული პერსონალი იცნობს და ხშირად უსარგებლია. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

აკადემიის პერსონალმა შეძლო თანამედროვე ტექნოლოგიების სინქრონული/ასინქრონული (ZOOM, Emis) ფორმით აქტიური გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება N 05/585;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა კითხვარი;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა კითხვარი;
- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა კითხვარი;
- თსსა საერთაშორისო თანამშრომლობა თანამშრომლობა ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში 2014-2018;
- კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და პოლიტიკა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისათვის მისაწვდომია ლეო რჩეულიშვილის სახელობის კაბინეტში დაცული ქართულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ლიტერატურა და საილუსტრაციო მასალა, ამერიკული და დასავლეთ ევროპული ხელოვნების შესახებ არსებული წიგნები, ვიდეოფილმები და საილუსტრაციო მასალები, დაცული ჯო კეიგლის სახელობის ამერიკული ხელოვნების კაბინეტში, თსსა მუზეუმში თავმოყრილი ექსპონატები. კაბინეტები აღჭურვილია დაცული მასალების გამოყენებისთვის საჭირო ტექნიკით. ფაკულტეტზე არსებული რესურსცენტრში არის 9 კომპიუტერი, ინტერნეტზე წვდომით. თსსა-სა და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, ასევე მისაწვდომია ცენტრის ბიბლიოთეკა. თსსა ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა - როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებს შეუძლიათ მასალების მოძებნა სასწავლო კურსების მიხედვით. კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია ელექტრონული ჟურნალში http://emis.art.edu.ge/. ამავე ჟურნალის მეშვეობით სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, აგრეთვე ინფორმაციას სიახლეების შესახებ. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა ხელს უწყობს სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებს, ასევე, უნივერსიტეტის სამსახურებს შორის კომუნიკაციას. ახალი სასწავლო წლისთვის, როცა დასრულდება თსსა შენობის რეაბილიტაციის პროცესი, დაგეგმილია ბიბლიოთეკის ახალი სივრცის გახსნა, რომელშიც გათვალისწინებულია წიგნებისთვის აუცილებელი ტემპერატურა, გაკეთებულია ლიფტი წიგნების ზედა დარბაზში ასატანად. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომელთა გამოყენებით ისინი ეცნობიან უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. თსსა ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისთვის ბაზებზე წვდომა შესაძლებელია როგორც ორგანიზაციიდან, ასევე დისტანციურად, ინსტიტუციური ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომლითაც შექმნილია ელსევიერის ანგარიშები და მომხმარებელს ფოსტაზე მისდის ბაზებზე წვდომის ბმული. 2022 წლის 13 იანვრიდან ძალაში შევიდა “ასოციაცია მეცნიერებისთვის” და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს ინგლისურენოვან და რუსულენოვან სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფას, პლაგიატის აღმომჩენი პროგრამების ამოქმედებას.

სტუდენტები ინფორმირებული არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, როგორც მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან შეხვედრაზე გამოვლინდა, ისინი ძალიან აქტიურად იყენებენ ამ შესაძლებლობას. გარდა ამისა, ისინი დადებითად აფასებენ პანდემიის დროს ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის პროცესს. ბიბლიოთეკა მათ სისტემატურად უგზავნიდა დასკანერებულ მასალებს. თსსა ბიბლიოთეკის ვებგვერდი სტუდენტებსა და თანამშრომლებს დაცულ ნაბეჭდ და ელექტრონულ რესურსებში ორიენტაციის საშუალებას აძლევს (https://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=48).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; • აკადემიის ინფრასტრუქტურა; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ელექტრონული სწავლების პლატფორმა: http://emis.art.edu.ge/; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან; • რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის რესურს-ცენტრი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი გათვალისწინებულია თსსა ბიუჯეტში. პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი არის 5,625 ლარი. აქედან სამეცნიერო და კვლევითი ხარჯისთვის გათვალისწინებულია 3,625 ლარი, ხოლო საგანმანათლებლო/სასწავლო/და სხვა ხარჯებისთვის - 2000 ლარი, რომელიც მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას ხმარდება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ძირითადი პერსონალი კულტურის სამინისტროდან ფინანსდება, ამიტომ მათი ანაზღაურების ხარჯი არ შედის პროგრამის ბიუჯეტში.

სადოქტორო პროგრამების მიმართ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შემუშავებულია რეგულაცია (წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი #1. 01.03.2017. დადგენილება #1, 2017), რომლის თანახმადაც დოქტორანტები იხდიან არა სწავლის წლიურ საფასურს, ანუ 2250 ლარს (რაც სამი წლის განმავლობაში შეადგენს 6750 ლარს), არამედ მხოლოდ სასწავლო კომპონენტის (50 ECTS) საფასურს, რაც შეადგენს 1875 ლარს. ამასთან, ეს თანხა გადანაწილებულია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის განხორციელების კვალდაკვალ. როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, ეს პოლიტიკა დადებითად მოქმედებს სტუდენტებზე, მათ ნაკლებად უწევთ სტატუსის შეჩერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები) სადოქტორო პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი;
- 2017 წლის 1 მარტის დადგენილება დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შემუშავებულია რეგულაცია (ოქმი #1. 01.03.2017. დადგენილება #1, 2017), რომლის თანახმად, დოქტორანტები იხდიან არა სწავლის წლიურ საფასურს, არამედ მხოლოდ სასწავლო კომპონენტის (50 ECTS) საფასურს. ამასთან, ეს თანხა გადანაწილებულია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის განხორციელების კვალდაკვალ. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს იმას, რომ დოქტორანტებს ნაკლებად უწევთ სტატუსის შეჩერება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამხატვრო აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილია როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის დონეზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს კონტროლს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს. აკადემიაში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით, რეგულაციები, ინსტრუმენტები თუ ფორმები შემუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეგულაციები, ინსტრუმენტები და ფორმები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების შემდეგ მომზადებული დოკუმენტ(ებ)ი კი დასამტკიცებლად ეგზავნება აკადემიურ საბჭოს. აკადემიაში ასევე შემუშავებული და დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი (დამტკიცებული თსსა აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი N43, 17.03.2022). მოქმედი რეგულაციის მიხედვით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. კულტურის კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 22.02.2022 სხდომაზე, ოქმი N42, აკადემიურ საბჭოზე განხილვამდე ის წარდგენილი იყო ფაკულტეტის საბჭოზე, სადაც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აკადემიური საბჭოსთვის პროგრამის წარდგენის შესახებ. კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის შემუშავება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ჯგუფი დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 21 დეკემბერს (ოქმი N18). ჯგუფში შედიოდა ოთხი წევრი - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს. ფაქტი, რომ ჯგუფის შემადგენლობაში არ შედიოდნენ სტუდენტი თუ კურსდამთავრებული, აიხსნა იმით, რომ პროგრამას არ ჰყავს სტუდენტი. 2021 წლის 29 აპრილს (ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N 8, ამონაწერი N 8) პროგრამის ხელმძღვანელმა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა დამსაქმებელთა ინტერვიუირების შედეგები. ხოლო 2021 წლის 29 ნოემბერს, პროგრამა დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. სულ წარმოდგენილია თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფის 9 ოქმი, მხოლოდ ერთი მათგანი (08.06.2021) წარიმართა გაფართოებულ ფორმატში, რომელსაც ესწრებოდა 8 პირი. რაც შეეხება დამსაქმებელთა ინტერვიუებს, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზი, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და დაიწყო 2019 წელს. დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლის მიზნით, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები და მომზადდა

ანალიზის დოკუმენტი. დამსაქმებელთა მოთხოვნათა შესწავლასთან ერთად, არ მომხდარა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება შრომის ბაზარზე მოთხოვნათა შესწავლის მიზნით, თუმცა, პროგრამის სპეციფიკისა და საფეხურის, ასევე მისაღები კონტინგენტის რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნული (რაოდენობრივი კვლევის) საჭიროება არ იკვეთება და სწორედ სიღრმისეული ინტერვიუები უფრო ეფექტიანად შეიძლება იყოს მიჩნეული.

მართალია, პროგრამის შემუშავების ოფიციალურ ჯგუფში არ დასტურდება სტუდენტის, კურსდამთავრებულის თუ დამსაქმებლების ჩართულობა და ჯგუფი მხოლოდ ოთხი წევრით არის წარმოდგენილი, ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობით გამოირჩეოდა.

აღსანიშნავია მჭიდრო თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და პროგრამის განმახორციელებელ როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შორის. ინტერვიურების დროს ცალსახად გამოიკვეთა პროგრამის თითოეული განმახორციელებელი, მათ შორის, მოწვეული პერსონალის აქტიური მონაწილეობა სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. დამსაქმებლები კარგად იცნობენ პროგრამის კონცეფციას და ხაზს უსვამენ პროგრამის საჭიროებას, აქვთ მრავალწლიანი კავშირი აკადემიასთან, მათ შორის, პროგრამების შემუშავების მიმართულებით. ინტერვიუს დროს ისინი აღნიშნავდნენ თავიანთი დაინტერესება პროგრამის შინაარსით და შესაძლებლობებს, რომელთა შეთავაზება შეუძლიათ კურსდამთავრებულთა დასაქმების თვალსაზრისით; მათი აზრით, პროგრამის მიერ მომზადებული სპეციალისტები საჭიროა ჟურნალისტიკისა და მედიაკომუნიკაციების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის, მედიის გააზრებისათვის კულტურის ჭრილში, ტელევიზიათა არქივებში დაცული უზარმაზარი მასალის კლასიფიკაცია-ანალიზისა და მათი გაციფრების წარმატებით წარმართვისთვის, კინოს ნიშანთა სისტემების ანალიზისთვის. ყველა დამსაქმებელი აღნიშნავდა, სამეცნიერო-კვლევითთან ერთად, პროგრამის პრაქტიკულ მიზანმიმართულებასაც და მისი კურსდამთავრებულების გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა სახის პრაქტიკულ საქმიანობაში - მედიასაშუალებების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების, მუზეუმების და სხვ. მიერ.

პროგრამაზე მუშაობის პროცესში, ექსპერტთა მიერ გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და საკვანძო საკითხები განხილული იყო პროგრამის შემუშავების ჯგუფის მიერ.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუს შედეგების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა მაღალი ხარისხის იყო, თუმცა პროცესი და მასში მონაწილე პირთა რაოდენობა თუ წრე არ იყო ფორმალიზებული ოფიციალურ დოკუმენტებში. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ამ პროცესების ფორმალიზება და დამკვიდრებული პრაქტიკა ასახოს დოკუმენტურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესი, დამტკიცებული თსსა აკადემიური საბჭოს სხდომის მიერ, ოქმი N43, 17.03.2022;
- თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დამტკიცებული თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი N43, 17.03.2022;
- თსსა რესტრავაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები (21.12-2020-29.11.2021);

- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ოქმები (28.01.2021-15.11.2021);
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირთა პროცესში მონაწილეობის ფორმალიზება და დამკვიდრებული პრაქტიკა ასახოს დოკუმენტურად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, პროგრამული აკრედიტაციისა და ინსტიტუციური ავტორიზაციის პროცესების ფარგლებში.

გარდა გარე ხარისხის შეფასების აღნიშნული მეთოდისა, თსსა იყენებს გარე კოლეგიური შეფასების მეთოდს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით. კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამა გარე შეფასების მიზნით წარედგინა კოლეგას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, კულტურის კვლევების დოქტორს.

გარე შეფასების შედეგების იმპლემენტაცია, გაცემული რეკომენდაციებისა და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა თუ სასწავლო კურსების სილაბუსების ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, ნაწილობრივ არის განხორციელებული. შეფასება დათარიღებულია 2021 წლის 20 ივლისით. გარე შეფასებაში აღნიშნულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც, ძირითადად, უკავშირდება სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერატურას. გარე შეფასების შედეგები გამოყენებულია, მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსის „კულტურის კვლევის თანამედროვე მეთოდები“ მოდიფიცირებისთვის, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით სასწავლო კურსების ლიტერატურის ნაწილში, რეკომენდაციები ვერ ჩაითვლება სრულად შესრულებულად, რადგან ლიტერატურა კვლავ რუსულ ენაზეა წარმოდგენილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს გამოწვევა მხოლოდ არჩევით სასწავლო კურსებში გვხვდება. დეტალურად ეს საკითხი განხილულია სტანდარტის კომპონენტ 2.3 აღწერაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გარე კოლეგიური შეფასების დასკვნა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, თსსა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დაწესებულებამ სრულად შეასრულოს გარე კოლეგიური შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და მასთან მიმართებით დაწესებულებას არ განუხორციელებია ხარისხის განვითარების სრული ციკლი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს, ასევე წარმოდგენილი დანართების შეფასების დროს, პროგრამის მახასიათებლებიდან, კერძოდ უმაღლესი განათლების საფეხურიდან და მისაღები კონტინგენტიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი გაკეთდა სადოქტორო საფეხურისა და მცირერიცხოვანი ჯგუფების სწავლების ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის მექანიზმებზე.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პროგრამის მონიტორინგის ინსტრუმენტები, მათ შორის, სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები. წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმები სრულად არ შეესატყვისება სადოქტორო სწავლების სპეციფიკასა და მოთხოვნებს, რადგან არ მოიცავს კითხვებს ნაშრომის ხელმძღვანელობის, თუ კვლევის პროცესში გაწეული კონსულტაციების შესახებ. მართალია, დოქტორანტები ავსებენ სემესტრულად გაწეული შრომის შესახებ ანგარიშს, თუმცა ფორმა არ მოიცავს კვლევის პროცესში დოქტორატთა მხარდაჭერის შეფასებას.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს მსვლელობისას, მათი თქმით, დოქტორანტები ღიად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, მათ შორის, სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან მიმართებით. ასევე, ფასდება დოქტორანტისა და ხელმძღვანელის ერთობლივი მუშაობა სწორედ დოქტორანტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

რაც შეეხება თავად ხარისხის შეფასების მეთოდს, თავად დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რაოდენობრივი გამოკითხვა, დიდი ალბათობით, ნაკლებად ეფექტიანია მცირერიცხოვან ჯგუფებში (წარმოდგენილ პროგრამაზე, აკრედიტაციის შემთხვევაში, იგეგმება სამი დოქტორანტის მიღება).

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს დოქტორანტურის საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების კარგი პრაქტიკის გამოცდილება, რაც გულისხმობს დოქტორანტთა ფოკუს-ჯგუფის გამართვას მრგვალი მაგიდის ფორმატში. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ისაუბრა აღნიშნულ გამოცდილებასა და მის ეფექტიანობაზე. მნიშვნელოვანია აღნიშნული პრაქტიკის სისტემატური სახით განხორციელება და ფორმალიზება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სადოქტორო საფეხურის ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო კონცეფციის ძალიან ღრმა, ამასთან დაწესებულების ინდივიდუალურ მახასიათებლებზე მორგებული და საინტერესო ხედვები, რაც გულისხმობს ინტერნაციონალიზაციას, შემოქმედებისა და მეცნიერების სინერგიას, ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ თვითგანვითარებასა და სხვა.

აკადემიაში ასევე მოქმედებს თსსა აკადემიის კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა, თუმცა, ამ შემთხვევაში, დოკუმენტი ფორმალიზების უფრო მაღალ ხარისხს საჭიროებს - კერძოდ, არ არის აღწერილი შეფასების შედეგების გამოყენების არეალი. დოკუმენტი არ განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულებსაც, ან მინიმალურ მოთხოვნებს, რაც დაწესებულების მხრიდან აიხსნება საქმიანობის სპეციფიკით - სახელოვნებო დაწესებულებაში რთულია, ან/და არაეფექტიანი რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა შემოქმედებით საქმიანობასთან მიმართებით. თუმცა, შესაძლებელია, გარკვეული ტიპით განისაზღვროს და გაიწეროს პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა, მით უფრო, რომ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა არ განეკუთვნება სახელოვნებო შემოქმედებითი პროგრამების რიცხვს. დასახელებული საკითხები აღიწეროს ერთიან, ფორმალურ პოლიტიკის დოკუმენტში, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთიან ხედვას უზრუნველყოფს, როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებში. ეს ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში, დადებითად აისახება სასწავლო პროცესის, კვლევისა და დაწესებულების საერთაშორისო სახელოვნებო განათლების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- თსსა აკადემიის კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა (დამტკიცებული 2018 წლის 22 მარტის თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე, N52);
- გამოკითხვის ფორმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

ფორმალიზების უფრო მაღალ ხარისხს საჭიროებს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა: რეკომენდებულია განისაზღვროს და გაიწეროს პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა, სამიზნე ნიშნულები ან მინიმალური მოთხოვნები; საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოყენებული თითოეული პროცედურა და მექანიზმი. ერთიანი, ფორმალური პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნული საკითხების თავმოყრა უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთიან ხედვას, როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებში, ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მართალია, მცირერიცხოვან ჯგუფებში ხარისხის შეფასების მიმართულებით არსებობს საუკეთესო პრაქტიკა - დოქტორანტთა ფოკუს-ჯგუფის გამართვა მრგვალი მაგიდის ფორმატში, მაგრამ სასურველია დაიხვეწოს და შეივსოს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები, რომლებიც ამ ეტაპზე არ მოიცავს კითხვებს ნაშრომის ხელმძღვანელობის თუ

კვლევის პროცესში გაწეული კონსულტაციების შესახებ; ასევე, დოქტორანტების მიერ სემესტრულად გაწეული შრომის ანგარიშის ფორმა მოიცავდეს კვლევის პროცესში დოქტორანტთა მხარდაჭერის შეფასებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): თსსა-ს აქვს დოქტორანტურის საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფის დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების კარგი პრაქტიკის გამოცდილება, რაც გულისხმობს მცირერიცხოვან ჯგუფებში დოქტორანტთა ფოკუს-ჯგუფის გამართვას მრგვალი მაგიდის ფორმატში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები), დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ჩიქოვანი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ჯოვანა აბლოთია

თინათინ გაბრიჩიძე

ელენე გავაშელიშვილი